

JEHOVAH'S WITNESSES

OFFICE OF PUBLIC INFORMATION

პრეს-რელიზი
8 სექტემბერი, 2000
(English)

„იეჰოვას მოწმეები“ აღშფოთებას გამოხატავენ თვითმკვლელთა სექტის იარღილის მიკერების გამო

«ბატონ მიხეილ სააკაშვილის უკანასკნელმა გამოსვლამ საქართველოს ტელევიზიით გვიჩვენა, რომ უხეში გაუგებრობებია „იეჰოვას მოწმეთა“ რწმენასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით», - განაცხადა იეჰოვას მოწმეთა წარმომადგენლმა, ბატონმა ფარნიძემ.

«საინფორმაციო ცნობათა თანახმად ბატონი სააკაშვილი თვითმკვლელობის აქტთან აიგიავებს რელიგიური დარწმუნებისა და ინფორმირებული მკურნალობის მეთოდის არჩევიდან გამომდინარე უარს სისხლის გადასხმაზე, - განაცხადა ბატონმა ფარნიძემ გუშინ. - „იეჰოვას მოწმეებს“ მიაჩნიათ, რომ სენსაციური განცხადება მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოსდა სისხლზე უარის თქმა თვითმკვლელობის ტოლფასია».

«მაგრამ ეს ასე არ არის,- განაცხადა ბატონმა ფარნიძემ. - „იეჰოვას მოწმეებს“ უყვართ სიცოცხლე. მათ არ სურთ სიკვდილი. მათ სურთ საუკეთესო სამედიცინო მკურნალობა». მან განაცხადა, რომ საქართველოში ხელმისაწვდომია უსისხლო მკურნალობა. ეს უკეთესი და უფრო უსაფრთხო მეთოდია, ვიდრე სისხლის გადასხმა. არსებობს მტკიცე საფუძველი, თუ რატომ მოგვითითებს ბიბლია ქრისტიანებს - „თავი შეიკავეთ სისხლისგან“.

საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელა უამრავი სენსაციური ინფორმაცია სამ იეჰოვას მოწმეზე, რომლებმაც უარი განაცხადეს სისხლის გადასხმაზე. სოფელ ორთაშენში მცხოვრები ლია ჯანქანიძე წარმოგვისახეს რელიგიური ფანტიკოსის როლში, რომელიც გარდაიცვალა სისხლის გადასხმაზე უარის გამო. თუმცა ბატონმა ფარნიძემ განაცხადა, რომ წინასწარი გამოძიებით გარდაცვალების მიზეზად დასახელდა დე-ვე-ეს სინდრომი. გარდა ამისა, ასეთი მდგომარეობისას სისხლის გადასხმა არა მხოლოდ უეფექტო იქნებოდა, არამედ სავარაუდოდ დააჩქარებდა კიდევ მის სიკვდილს.

ბატონმა ფარნიძემ განაცხადა, რომ მამუკა რაჭამაშვილი მასხარად აიგდეს, როდესაც მან უარი განაცხადა სისხლის გადასხმაზე. მისი სრული გამოჯანსაღებისა და სისხლის გადასხმის გარეშე წარმატებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ კი საინფორმაციო საშუალებები უკვე აღარაფერს იხსენიებენ.

ბატონი ფარნიძის სიტყვების თანახმად გივი ქარდავა და მისი მკურნალი ექიმი უსისხლო ოპერაციაზე იყვნენ შეთანხმებულნი, მაგრამ საინფორმაციო საშუალებების აჟიოტაჟმა და ტელევიზიის თანხლებით შარადის ვიზიტმა ონკოლოგიურ ცენტრში, თავისი კამპანიის წინ წაწევის მიზნით, ყველაფერი შეცვალა. დღეს სამედიცინო პერსონალმა უკან დაიხია მოლაპარაკებისგან. „ბატონი ქარდავა ამჯერად უსისხლო ოპერაციას სხვა საავადმყოფოში გაიკეთებს, - განაცხადა ფარნიძემ, - და ყველაფერი, რაც ამით მიღწეულ იქნა, იყო აუცილებელი მკურნალობის ფუჭი დაყოვნება“.

გერმანული გაზეთი „დეი ველტ“ (*Die Welt*), 2000 წლის 23 ივნისის სტატიაში სათაურით - „უძველესი რწმენა თანამედროვე მეცნიერებით მტკიცდება“ - წერს: «სხვადასხვა საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოკვლევებმა, ცხადყო, რომ ოპერაციის შემდგომი სიკვდილიანობა გაცილებით მაღალი იყო იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებმაც არ გადაისხეს სისხლი. (...) ერთადერთი, ვისაც ყოველთვის ესმოდა ამის უდიდესი საშიშროება, იყვნენ „იეჰოვას მოწმეები“, რელიგიური ორგანიზაცია, რომელსაც დასცინოდნენ თავისი პოზიციის გამო».

„იეჰოვას მოწმეები“ სინანულს გამოთქვამენ, რომ ბატონმა სააკაშვილმა ვერ მოიცალა მათთან შესახვედრად ზემოხსენებულ საკითხთათვის ნათელის მოსაფენად. მათ სჯერათ, რომ ამ ფაქტების მიუკერძოებელი გადახედვა ფაქტებისა აჩვენებს, რომ მათი პოზიცია დაფუძნებულია საღ სამედიცინო მეცნიერებასა და მკურნალობის მეთოდის არჩევაში პაციენტის პატივისცემაზე.

კონტაქტები საქართველოში:
ტელეფონი +995 (32) 76-23-59; ფაქსი +995 (32) 76-95-98

www.jw-media.org